*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა*

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: სახელი, გვარი თაბუკა ციმინტია |
| **წევრები:** |
| სახელი, გვარი ვერიკო ჭიღლაძე |
| სახელი, გვარი ნინო ბოკუჩავა |

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy*

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საიდენტიფიკაციო კოდი: 404441895

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

*ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):*

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ■ გეგმიური
- ☐ არაგეგმიური

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:*

*სრული მონიტორინგის შემთხვევაში ივსება პროგრამებზე ცალ-ცალკე, კონკრეტული პროგრამის/პროგრამების მონიტორინგის შემთხვევაში ივსება კონკრეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე ცალ-ცალკე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ვიზაჟისტი | 32 | 21 | 4 |
| ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი | 36 | 19 | 4 |
| კანის მოვლა და სპა პროცედურები | 30 | 16 | 6 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| სტილისტი | 40 | 22 | 4 |

## IV. საერთო მიმოხილვა

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის* საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის MES 7 22 0001503946 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - თაბუკა ციმინტია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ვერიკო ჭიღლაძეს - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი) და დარგის ექსპერტს - ნინო ბოკუჩავას, დაგვევალა 2022 წლის 5, 6 და 7 დეკემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ში.* ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას. ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

 -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები, რის შედეგადაც სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშრებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

**დასკვნის პროექტის შედგენის დროს გამოვლინდა გარკვეულ ინდიკატორებზე შეუსაბამობა, თუმცა დაწესებულების მიერ გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე ექსპერტებმა შეცვალეს შეფასება.**

## V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 1.1) პსდ-ს მისია | | შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | | მეტწილი |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | | შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | | მეტწილად შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | | მეტწილად შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | | მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





| 5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
|---|---|---|
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | მეტწილად შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | | შეესაბამება |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*არ დაფიქსირებულა*

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.3 დაწესებულებას მიცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით თანხვედრაში მოიყვანოს მეთოდოგიაში გაწერილი ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების მექანიზმები და მისი რეალურად განხორციელების პერიოდი. დამატებითი კონტროლის მექანიზმები გაიწეროს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის თანხვედრის შემოწმებასთან დაკავშირებით.

1.2.2.1 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით მეთოდოლოგიაში გაიწეროს წლიური სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგისა და ანგარიშის მომზადების კონტროლის მექანიზმები, რაც საფუძველს შეუქმნის და გაადვილებს საბოლოო მონიტორინგისა და ანგარიშის მომზადების პროცესს.

1.2.2.3. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით „სტრუქტურული ერთეულების დებულების" დოკუმენტში გაწეროს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის ანგარიშების საჯაროობზე პასუხისმგებელი პირი და გამოქვეყნებაზე კონტროლის მექანიზმები.

3.2.1.4. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და ამავე მექანიზმის საფუძველზე გარკვეული თანხის გათვალისწინება ბიუჯეტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.1.5. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესრულების კონტროლის ასახვა და ამასთანავე მოახდინოს კმაყოფილების კვლევის კითხვარის გადახედვა/განვითარება.

3.2.2.4. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით კარიერული მომსახურების კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგის საფუძველზე მყისიერი რეაგირების განხორციელება, რაც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

4.1.1.2 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით დანიშნოს სასწავლო პროცესის მენეჯერი ინტერესთა კონფლიქტის და შრომის კოდექსის გათვალისწინებით.

4.1.1.3 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვისა და კოლეჯის ძირითადი საქმიანობის შესრულებისთვის დაინიშნოს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

4.1.2.2 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით მექანიზმებში გაიწეროს კადრების მოზიდვის და დასაქმების მექანიზმების შესრულების კონტროლი.

4.2.1.1 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით განისაზღვრო პირი/სამსახური ვის მოვალეობაშიც გაიწერება პერსონალის შეფასების პროცესის შესრულების კონტროლი.

4.2.1.2 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით განსაზღვროს პირი, რომლის ვალდებულებებში გაიწერება პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის ჩატარების პროცესზე, ანალიზსა და შემდგომი გეგმის შედეგენის პროცესზე პასუხისმგებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.7 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით „ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმები“-ში მატერიალური რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების მექანიზმების გაწერა, რაც მატერიალური რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავებას მოიაზრებს.

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.1.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, მის მიერ გადახედილი იქნას ხედვის ნაწილი და განისაზღვროს მისი მიზნების მიღწევის პერიოდი.

1.2.1.2 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ კოლეჯის მიერ მოხდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მეტი გარე დაინტერესებული პირის ჩართვა და პროექტის გაზიარება, უკუკავშირის მისაღებად, მის დამტკიცებამდე, რათა პროცესი გახდეს მეტად თანამონაწილეობითი.

1.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სტრატეგიული დოკუმენტის ვადაზე ადრე შეცვლის შემთხვევაში შესაბამის დოკუმენტაციაში აისახოს შეცვლის საფუძველი.

1.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში რესურსების ნაწილში, განსაკუთრებით ფინანსური მიმართულებით განსაზღვროს კონკრეტულად საჭირო რაოდენობა და რესურსის მიღების წყარო.

3.1.1.1დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გარე მობილობისათვის გააფორმოს მემორანდუმი მსგავსი საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებლ დაწესებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.1.1 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს გონივრული ვადები სტუდენტებისათვის შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით.
3.1.1.1დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გადახედოს მოდულის/სწავლის შედეგის გადაბარების პროცესს, როგორც წინაპირობის მქონე, ასევე წინაპირობის გარეშე არსებული მოდულების შემთხვევაში,გასაზღვროს გონივრული ვადები და ასახოს რეგულაციაში.
3.1.1.1 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები, რომელიც მოთხოვნილია კანონმდებლობის შესაბამისად

3.1.1.2 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტრუქტურული ერთეულების დასახელება და დებულების დოკუმენტში - „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება" გაწერილი პოზიციები მოიყვანოს თანხვედრაში.

4.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების სწავლების მიმართულებით საჭიროების კვლევა და განვითარების აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებ.

4.2.1.5 რეკომენდაცია მექანიზმებში გაწეროს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და განხორციელების პროცედურები.

2.4.1.1 კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში გაასწოროს არსებული უზუსტობა ;

## XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯიNatali Academy-ს ნათლად აქვს განსაზღვრული აკადემიის მისია, რომელიც პირდაპირ შეესაბამება დოკუმენტში „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ გაწერილი პროფესიული განათლების მიზნებიდან მესამეს „შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა” და პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს როგორიცაა: რისთვის არსებობს ორგანიზაცია,ვინ არიან მომხმარებლები და რა კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას ცდილობს მისი საქმიანობით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, <u>**პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**</u>

2. პსდ-ს მისია არის მოკლე კონკრეტული, ადვილად გასაგები, სადაც ჩანს, რომ დაწესებულება არის მონოპროფილური და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სილამაზის ინდუსტრია. კოლეჯი მისიით აცხადებს სფეროში, არა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის, არამედ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კადრის მომზადების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, <u>**მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ს მისიიდან გამომდინარე განსაზღვრული აქვს ხედვა, რომელიც არის მოკლე, მარტივად გასაგები, მამოტივირებელი და ამბიციური. კერძოდ დაწესებულება საკუთარ თავს სამომავლოდ ხედავს ადგილობრივი ბაზრის წამყვან პოზიციებზე. სილამაზის ინდუსტრიაში მომუშავე სხვა ორგანიზაციებისგან განსხვავებით კოლეჯის ხედვაა ერთიანი საგანმანათლებლო და საწარმოო გარემოს შექმნა. გარდა ამისა მისი მკაფიო სურვილია სილამაზის მომსახურების საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომობა.
ხედვას თან ახლავს ღირებულებების ჩამონათვალი, რომლის მთავარ ორიენტირს წარმოადგენს ხარისხი, მომხმარებელი, განვითარება, გუნდურობა და პროფესიონალიზმი. ამ პრინციპებზე დაყრდნობით შესაძლებელია მისიაში და ხედვაში განსაზღვრული ისეთი მიზნების მიღწევა, როგორიცაა კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზება, ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი პოზიციის დაკავება, ერთიანი საგანმანათლებლო და საწარმოო გარემოს შექმნით პირის პროფესიულ და ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა.
ხედვაში განსაზღვრული არ არის დროის ის პერიოდი, რომელშიც დაწესებულება აპირებს შემუშავებული ხედვის რეალიზებას. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ დაწესებულებაში ეს კონკრეტული მისია, ხედვა, ღირებულებები მოქმედებს 2014 წლიდან. შესაბამისად ბუნდოვანია როდისთვის უნდა გაიზომოს ხედვაში წარმოდგენილი კომპონენტების მიღწევა. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, მის მიერ გადახედილი იქნას ხედვის ნაწილი და განისაზღვროს მისი მიზნების მიღწევის პერიოდი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.
4. მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარების მექანიზმები გაწერილია დოკუმენტში „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022) მუხლი 6.8. მექანიზმის მიხედვით მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსდება კატალოგში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში; კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე; გაჟღერებული იქნება პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან დაგეგმილ შეხვედრებზე, ოფიციალურ ღონისძიებებზე.
ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომია პსდ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, კატალოგში, გამოკრულია კოლეჯის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია მსმენელისათვის ღია კარის დღეებზე.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის ვებ. გვერდზე გამოქვეყნებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. "სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია"(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022);
3. დაწესებულების ფიზიკურ სივრცეში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
4. ინტერვიუირება;
5. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ს დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022), რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას (მუხლი 7), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გაზიარების (მუხლი 8), მონიტორინგის, შეფასების მექანიზმებსა და სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის შედგენის წესებს (მუხლი 10). ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს 7 წლიან ციკლს, რომელსაც თან ერთი თვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული გეგმის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ (რომელსაც ქმნის და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი) და ითვალისწინებს დოკუმენტების შექმნის პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაინტერესებული პირების აქტიურ ჩართულობას. შემუშავების პროცესი მოიცავს პროექტების გაზიარებას დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღებას.

სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებები დასაშვებია და იგი უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის დასაბუთებას. მიზეზი შეიძლება იყოს: კანონმდებლობის ცვლილება, ეროვნულ დონეზე ახალი სტრატეგიების დამტკიცება, კოლეჯის მისიის შეცვლა, კოლეჯის მენეჯმენტის შეცვლა, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ ზოგიერთი მიზნის მიღწევა არაა შესაძლებელი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან აღარაა რელევანტური და სხვ. სამოქმედო გეგმა შეიძლება შეიცვალოს გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, მისიაში/ხედვაში/სტრატეგიულ გეგმაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად და სხვ.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ. გაზიარებისათვის მოქმედებს დოკუმენტის მუხლი 4-ში გაწერილი მექანიზმები. გეგმის გაზიარება ხდება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისათვის შემდეგი გზით: კოლეჯის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; ბეჭდვითი მასალები.

კოლეჯი ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება ადმინისტრაციულ საბჭოს. სამოქმედო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სამოქმედო გეგმის ანგარიშს ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული მოვალეობა გაწერილია „სტრუქტურული ერთეულების დებულების“ 7.16 პუნქტში.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ -სამოქმედო გეგმების წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. ადმინისტრაციულ საბჭოსთან და დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში განთავსდება კოლეჯის ვებგვერზე.

პსდ-ს შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა.„სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, პროცედურას, პროცესის აღწერასა და განსაზღვრავს ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მეთოდს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

2. „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“-ში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება 6 მიდგომას. მათ შორის არის „გუნდურობა - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, რაც ნიშნავს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება კოლეჯის შიდა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით“ და „ ქვეყნის/რეგიონის/თემის ინტერესების გათვალისწინება - კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის/დარგის პრიორიტეტებს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაწყებისას, სამუშაო ჯგუფი შეხვედრა(ებ)ზე განიხილავს დოკუმენტ(ებ)ს და საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს მათ.“

სამუშაო ჯგუფის წევრი არის დაინტერესებული მხარე (5.2) ვინც უშუალოდ ჩაერთვება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სამუშაო დოკუმენტების შექმნაში, ასევე განახორციელებს გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. დაინტრესებული მხარე შეიძლება იყოს: შიდა - კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვ; გარე-კოლეჯის კურსდამთავრებულები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/საწარმოები, დამსაქმებლები, დონორი ორგანიზაციები, სოციალური და საერთაშორისო პარტნიორები და სხვ. (4.1.1, 4.1.2). სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავების შემგომ პროექტი ზიარდება სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის (8.2.2) უკუკავშირის მისაღებად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა შესაბამისი მტკიცებულებები. კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის ბრძანება №46 „სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის გადახედვის, შემუშავებისა და გაზიარების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“ , სადაც წევრებად განსაზღვრული არიან ადმინისტრაცია, პროფესიული მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი და ერთი პატნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი (NATALI GROUP). ასევე მტკიცებულებად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი იქნა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №1,№2, რითაც დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და თანამონაწილეობითი პროცესის არსებობა.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამუშაო ჯგუფის წევრს წარმოადგენდა მხოლოდ ერთი გარე დაინტერესებული პირი და დაწესებულებას არ მოუხდენია დამტკიცებამდე სამუშაო პროექტის გაზიარება უკუკავშირის მისაღებად. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ კოლეჯის მიერ მოხდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მეტი გარე დაინტერესებული პირის ჩართვა და პროექტის გაზიარება, უკუკავშირის მისაღებად, მის დამტკიცებამდე, რათა პროცესი გახდეს მეტად თანამონაწილეობითი.**

ასევე დოკუმენტში „სტრატეგიული გეგმა 2022-2029“ შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია და სილამაზის ინდუსტრიის საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრის ტენდენციები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

3. პსდ-ს დამტკიცებული ჰქონდა „სტრატეგიული გეგმა 2020-2026“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №26). 2021 წლის დეკემბერში მოახდინა ინიცირება ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების შესახებ და შექმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება №46 30.12.2020). ამის შემდეგ ჩატარდა სხდომა (ოქმი №1 31.12.2021) და მიიღეს გადაწყვეტილება სტრატეგიული გეგმის 2020-2026 გადახედვისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის შექმნის შესახებ.
დოკუმენტების შესწავლის შედეგად ვერ მოხდა მოქმედი გეგმის, ვადის ამოწურვამდე შეცვლის გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების დადგენა. ინტერვიუს შედეგად დირექტორის მიერ მიზეზად დასახელდა მენეჯმენტის ცვლილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას მიეცა <u>**განმავითარებელი რეკომენდაცია სტრატეგიული დოკუმენტის ვადაზე ადრე შეცვლის შემთხვევაში შესაბამის დოკუმენტაციაში აისახოს შეცვლის საფუძველი.**</u>

ახალი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა 2022-2029 დამტკიცებული იქნა დირექტორის ბრძანებით №08 22.02.2022-ში. ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ახალ დოკუმენტში გაწერილი 4 სტრატეგიული მიზანი ძველი დოკუმენტის იდენტურია, თუმცა შინაარსობრივი ფორმირება მოხდა ამოცანებში, რომლებიც მიზნების შესაბამისია. სტრატეგიული მიზნები ემყარება პსდ-ს მიერ ჩატარებულ SWOT ანალიზს და თავსებადია მისია, ხედვაში გაწერილ მიზნებთან. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, ქვე ამოცანებს, განხორციელების პერიოდსა და შესრულების ინდიკატორს.

პსდ-ს გაწერილი აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023, რომლის შემუშავებაც მოხდა სტრატეგიული გეგმა 2022-2029-ის საფუძველზე და ითვალისწინებს ოთხი სტრატეგიულ მიზნიდან სამს. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობები, მიზნის მიღწევის ინდიკატორი, რისკები, შედეგი, რესურსები (მატერიალური, ადამიანური, ფინანსური), განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი და თანაშემსრულებელი პირები.

პსდ-ს დოკუმენტში „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია" ვკითხულობთ, რომ „სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს". ამასთანავე არსებული 2022-2023 წლის გეგმა დამტკიცებულია 22.02.2022 წელს (დირექტორის ბრძანება №8). ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა წინა "2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა" და „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია. შესაბამისად გაურკვეველია რის საფუძველზე მოხდა თებერვლის თვეში სამოქმედო გეგმის გაწერა და არის თუ არა პერიოდების ბმა სამოქმედო გეგმებს შორის, რომელიც უზრუნველყოფ სტრატეგიული გეგმის შესრულებას.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანები არის მსხვილი (არ არის გადმოტანილი ქვეამოცანები, რომელიც უფრო მეტად გავს ამოცანას) და მისი აქტივობები არ ემთხვევა სტრატეგიულ დოკუმენტში გაწერილ ქვეამოცანებს. მაგალითად პირველი მიზანის პირველი ამოცანის პირველი ქვეამოცანაა „ორგანიზაციის ახალი სტრუქტურის შემუშავება", რომელიც უნდა შესრულდეს 2022 წელს. სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობები არ არის გაწერილი, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს ახალი სტრუქტურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ გამოკვეთილი იქნა ხარვეზი: დაწესებულების ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცებისა და მათ მეთოდოლოგიაში გაწერილი პერიოდი არ ემთხვევა ერთმანეთს. კოლეჯს წინა წლების სამოქმედო გეგმები და მეთოდოლოგიის დოკუმენტი არ წარმოუდგენია.
სტრატეგიულ გეგმაში 2022-2029 გაწერილი ქვეამოცანები და სამოქმედო გეგმის 2022-2023 აქტივობები არ ემთხვევა ერთმანეთს.
*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ ცვლილება და მასში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესაბამისობის დადგენის მექანიზმების გაწერა. აღნიშნული აქტივობების შესრულებისთვის დათმობილია 5 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2023 წლის ივნისში.*
აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და დაწესებულებას მიცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით თანხვედრაში მოიყვანოს მეთოდოგიაში გაწერილი ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების მექანიზმები და მისი რეალურად განხორციელების პერიოდი. დამატებითი კონტროლის მექანიზმები გაიწეროს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის თანხვედრის შემოწმებასთან დაკავშირებით.
სამოქმედო გეგმის რესურსები პსდ-ს  დაყოფილი აქვს სამი მიმართულებით: მატერიალური, ადამიანური, ფინანსური. ამოცანების უმტეს ნაწილში კოლეჯს აღნიშნულში გამოყენებული აქვს ტერმინი „უზრუნველყოფილია“. დაწესებულებას ექსპერტთა მიერ მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში რესურსების ნაწილში, განსაკუთრებით ფინანსური მიმართულებით განსაზღვროს კონკრეტულად საჭირო რაოდენობა და რესურსის მიღების წყარო.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; თუმცა დარღვეულია სამოქმედო გეგმის შედგენის პერიოდი და  დაწესებულებას შესაბამისად არ აქვს განსაზღვრული განსახორციელებელი აქტივობები  და საჭირო რესურსები..

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022);
2. „სტრუქტურული ერთეულების დებულება“ (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ოქმი №1 05.09.2022)
3. „სტრატეგიული გეგმა 2022-2029“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022)
4. დირექტორის ბრძანება №46 „სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის გადახედვის, შემუშავებისა და გაზიარების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“
5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №1 31.12.2021;
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №2 18.02.2022;
7. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „სტრატეგიული გეგმა 2020-2026“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით№26 20.07.2019);;
8. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Nataly Academy“ (2022-2029) სტრატეგიული განვითარების გეგმისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ და მათი შეფასება „ დირექტორის ბრძანება №08 22.02.2022;
9. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „სტრატეგიული გეგმა 2022-2029“ (დამტკიცებული იქნა დირექტორის ბრძანებით №08 22.02.2022);
10. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „სამოქმედო გეგმა 2022-2023“ (დამტკიცებული იქნა დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022);
11. ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და ვადები, რომლის მიხედვითაც სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასწავლო წელიწადში ერთხელ და მას ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმების წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა 2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არ ქონდა წვდომა წინა წლების სამოქმედო გეგმებთან, ამიტომ რთულია განსაზღვრა რომელი წლის ანგარიშია წარმოდგენილი 2020-2021 თუ 2021-2022 წლის პერიოდის. ასევე შეუძლებელია ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციიდან დადგინდეს რომელი ამოცანები იყო დაგეგმილი, რა შესრულდა, რისი განხორციელება ვერ მოხერხდა, რამდენად განხორციელდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმილ ვადებში და აშ. ექსპერთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა წინა წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშები, თუმცა დაწესებულებას აღნიშნული არ წარმოუდგენია.

7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ანგარიში და მისი ანალიზი დაწესებულებას არ წარმოუდგენია, რადგან მოქმედი გეგმა დამტკიცდა 22.02.2022 წელს, შესაბამისად მისი მონიტორინგი განხორციელდება 3 წლის შემდეგ. თუმცა როგორც 1.2.1-ში აღიწერა 2020-2029 წლის სტრატეგიული გეგმა შეიცვალა 2022 წლის თებერვლის თვეში და 2020-2022 წლის პერიოდის ანგარიში და მისი ანალიზი დაწესებულებას არ წარმოუდგენია. ექსპერტთა მიერ დაწესებულების ოფიციალურ საიტზე ინახა „განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2014-2020) შესრულების ანალიზი“, რომელიც ანგარიშის ყველა საჭირო კომპონენტს მოიცავს.

დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ გამოიკვეთა **ხარვეზი: არსებული მტკიცებულებით კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება არ ხორციელდება. დაწესებულებას ექსპერტების მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.**

*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“დოკუმენტში სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ნაწილში შუალედური მონიტორინგის მექანიზმების გაწერას . აღნიშნული აქტივობების შესრულებისთვის დათმობილია 5 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2023 წლის ივნისში.*

აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და **დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით მეთოდოლოგიაში გაიწეროს წლიური სამოქმედო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>გეგმის შუალედური მონიტორინგისა და ანგარიშის მომზადების კონტროლის მექანიზმები, რაც საფუძველს შეუქმნის და გაადვილებს საბოლოო მონიტორინგისა და ანგარიშის მომზადების პროცესს.</u>

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, <u>პსდ სათანადოდ არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, შესაბამისად არ არის გათვალისწინებული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.</u>

2. შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა „Nataly Academy" წარმოადგინა „განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2014-2020) შესრულების ანალიზი", სადაც პირველი მიზნის ორ ამოცანაზე მოყვანილია შეუსრულებლობის მიზეზი და გაცემულია ეფექტურობის შეფასება და გაუმჯობესებისთვის რეკომენდაცია. აღნიშნული ეხება სასწავლო მასალების მომზადებას და დარგის, კონკურსების პოპულარიზაციას, რომელიც გათვალისწინებული იქნა სტრატეგიულ გეგმის 2020-2026 მეორე და მეოთხე მიზნის ამოცანებში. სტრატეგიული გეგმის გადამუშავების და ახალი სტრატეგიული გეგმის 2022-2029 დამტკიცების შემდგომ დოკუმენტის მიხედვით აღნიშნულ ამოცანებზე მუშაობა კვლავ გრძელდება და პერმანენტულად მიმდინარეობს 2029 წლის ჩათვლით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო რესურსები (შემოწმდა და დადასტურდა დარგის ექსპერტის მიერ) შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა „Nataly Academy" ცვლილება მოახდინა ამოცანაში და მიზნად დაისახა სასწავლო მასალების განვითარება.

გარდა ამისა 2020-2026 სტრატეგიული გმის დოკუმენტში დაწესებულებას ნათქვამი აქვს, რომ დოკუმენტი შემუშავებულია ხარისხის მენეჯმენტის შეფასების/მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღნიშნული მტკიცებულებების და ფაქტების საფუძველზე ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, **პსდ სათანადო რეაგირება შეფასების შედეგებზე.**

**3.** სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის" დოკუმენტის მიხედვით ადმინისტრაციულ საბჭოსთან და დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში განთავსდება კოლეჯის ვებგვერზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy „2021 წლის 1. სამოქმედო გეგმის ანგარიში", რომელიც არასრული და ბუნდოვანია, რადგან არ ჩანს, რომელი პერიოდის სამოქმედო გეგმის ანგარიშია, რა იყო დაგეგმილი მიზნები ამოცანები და აქტივობები, მათგან რომელი შესრულდა/ვერ შესრულდა (რატომ?); 2. „განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2014-2020) შესრულების ანალიზი".

დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ გამოიკვეთა **ხარვეზი: დაწესებულების საიტზე განთავსებული 2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში არ მოიცავს შესაბამის ინფორმაციას. წინა წლების სამოქმედო გეგმების სხვა ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.**

*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია „სტრუქტურული ერთეულების დებულების" დოკუმენტში სამოქმეო და სტრატგიული გეგმების ანგარიშების საიტზე გამოქვეყნების პასუხისმგებლობა გაიწეროს საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კარიერული წინსვლის მენჯერეის მოვალეობებში. აღნიშნული აქტივობების შესრულებისთვის დათმობილია 5 თვე, ხოლო პროცესი დასრულდება 2023 წლის ივნისში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, „სტრუქტურული ერთეულების დებულების“ დოკუმენტში გაწეროს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის ანგარიშების საჯაროობზე პასუხისმგებელი პირი და გამოქვეყნებაზე კონტროლის მექანიზმები.

ქსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022);
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy „2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში“;
3. „განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2014-2020) შესრულების ანალიზი“;
4. პსდ-ს ოფიციალური ვებგვედი;
5. ინტერვიუ ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან.

შეფასება:
☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy* -ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

შპს „ ნატალი აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 37 07.09.2022 წლის (ცვლილება შეტანილია N 54 08.11.2022) „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, აღნიშნული რეგულაციები მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან, სწავლის შედეგების დადასტურებასა და კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიული სტუდენტების ინფორმირების, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმებს. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით, რომელიც ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ყოველ დღე გარდა შაბათისა (არსებობს გამონაკლისი შემთხვევები) და კვირისა, ერთ ცვლაში. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონით ,,შრომის კოდექსით'' გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში. დისტანციურ რეჟიმში სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას. დაწესებულება პრაქტიკის დაწყებამდე ორი კვირით ადრე უკავშირდება პარტნიორ ორგანიზაციას/პრაქტიკის ობიექტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის დასაგეგმად. პროფესიული სტუდენტის ლექციიდან/პრაქტიკული მეცადინეობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი წერს განცხადებას დირექტორის სახელზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს პროფესიული სტუდენტისგან დროებით (3 წელი) სწავლის შეჩერებას, ხოლო სტატუსის აღდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, რისთვისაც პროფესიულმა სტუდენტმა კოლეჯს განცხადებით უნდა მიმართოს. სტატუსშეჩერებული პირი სწავლას გააგრძელებს იმ ეტაპიდან საიდანაც სტატუსი შეუჩერდა.

კოლეჯის რეგულაციები ასევე მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მექანიზმებს. სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, პირადი განცხადება და სხვა გარემოებები. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს როგორც შიდა, ისე გარე მობილობით. მობილობის უფლება აქვს როგორც აქტიური სტატუსის მქონე, ისე სტატუსშეჩერებულ პირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულაციაში აღწერილია ყველა ის გარემოება, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის მიერ ამ უფლებით სარგებლობა, ან ამ უფლებათა შეზღუდვა. კოლეჯის მიერ გაწერილი მობილობის პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლება, რაც პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას გულისხმობს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მათ შიდა ან გარე მობილობას. თუმცა  კოლეჯს გაფორმებული არა აქვს მემორანდუმები პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გარე მობილობისათვის გააფორმოს მემორანდუმი მსგავსი საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებლ დაწესებულებებთან.

კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები, თუმცა რეგულაციაში არ იკითხება ჩანაწერი მოდულის სხვა მოდულთან წინაპირობის შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორ ახდენს დაწესებულება სტუდენტის ინფორიმირებას და ვადების განსაზღვრას; **ამისათვის დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს ზემოთაღნიშნული პირობები და განსაზღვროს გონივრული ვადები შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით.** სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს, თუმცა მოცემულ რეგულაციაში არსად არ ჩანს რამდენჯერ აქვს სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება და რა ვადაში; დაწესებულებას მიეცა **რეკომენდაცია გადახედოს მოდულის/სწავლის შედეგის გადაბარების პროცესს, როგორც წინაპირობის მქონე, ასევე წინაპირობის გარეშე არსებული მოდულების შემთხვევაში გასაზღვროს გონივრული ვადები და ასახოს რეგულაციაში.**

კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტის ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, რომლის მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა. ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები მოიცავს აღიარების პირობებს, პროცესს, ეტაპებსა და ვადებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. შპს „ნატალი აკადემიაში“ ფუნქციონირებს დირექტორის №39 (07.09.2022) ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის თანახმად, ყველა რეგისტრირებულ სტუდენტსა თუ პერსონალს შეუძლია წიგნის ან საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება. დაწესებულებაში ფუნქციონირებს აკადემიის დირექტორის 2022 წლის 06 სექტემბრის N 34 ბრძანებით დამტკიცებული შიანაგანაწესი, მუხლი 24, რომელიც არეგულირებს კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის მექანიზმებს. კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერი ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებს სწავლების ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ ასევე კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით, შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, დაწესებულების ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით. დაწესებულების შიდა მარეგულირებული აქტებით არ არის განსაზღვრული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები. **რეკომენდაცია: დაწესებულებას არა აქვს რეგულაციაში გაწერილი საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები,** ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა რეგულაციაში არ არის ასახული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში შეხვდა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები მეტნაკლებად იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. კერძოდ: დაწესებულებაში „პროფესიული საგანამანათლებლო საქმიანობის დებულებაში" მუხლი 16 - სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზების საფუძველზე შეხვედრებს ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კარიერული წინსვლის მენეჯრი, რომელიც სტუდენტებს აცნობს კოლეჯში შემუშავებული „გზამკვლევი პროფესიული სტუდენტებისათვის" დოკუმენტს, თუმცა დადგინდა შემდეგი სახის შეუსაბამობა, კერძოდ, დაწესებულებას ჰყავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც არ ემთხვევა რეგულაციაში გაწერილი პოზიციის დასახელებას. ასევე, ვიზიტამდე და ვიზიტის დროს დაწესებულებას მსგავსი გზამკვლევი არ წარმოუდგენია, რომელიც ეჭქვეშ აყენებს, რომ სტუდენტებისათვის მსგავსი ტიპის შეხვედრების ორგანიზება რეგულაციით განსაზღვრული პირობებით არ მიმდინარეობს.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენჯერთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტებისათვის მათ უფლებებსა და ინტერესის დაცვაზე შეხვედრები ხორციელდება; **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტრუქტურული ერთეულების დასახელება და დებულების დოკუმენტში - „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება" გაწერილი პოზიციები მოიყვანოს თანხვედრაში. ასევე, სტუდენტთა ინფორმირების პრაქტიკული განხორციელება მოიყვანოს რეგულაციასთან შესაბამისობაში.** - დაწესებულებას ჰყავს პროფორიენტაციისა და კარიერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც ახორციელებს სტუდენტების ინფორმირებას უფლება-მოვალეობისა და სერვისების შესახებ, ამასთან ახორციელებს მათი კმაყოფილების კვლევას და ახდენს მათი სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებას, რიგ შემთხვევებში სტუდენტთა და კურდამთავრებულთა მიერ დასახელებული იყო ცალკეული მაგალითებიც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს გამოკითხვას, პრაქტიკული დავალებას დაკვირვებით (პროცესზე დაკვირვება), პრაქტიკული დავალებას. რეგულაციაში ასახულია ინფორმაცია საპატიო გაცდენის შემთხვევაში განმეორებითი გამოცდის დანიშვნის შესახებ, რომელსაც ნიშნავს სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებელთან შეთანხმებით 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმებსაც (აპელაცია - მუხლი . პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან იმავე დღეს ან მომდევნო სამუშაო დღეს გაასაჩივროს მიღებული შეფასება ან/და პროცედურული საკითხები და წერილობით მიმართოს სააპელაციო განაცხადით დაწესებულების დირექტორს; კოლეჯის დირექტორი არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში ქმნის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით სააპელაციო კომისიას, რომლითაც განსაზღვრავს აპელაციის ჩატარების თარიღს და სააპელაციო კომისიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემადგენლობას შემდეგი პირებით: სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების პროცესში. სააპელაციო კომისია არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში განიხილავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ შემოტანილ სააპელაციო განაცხადს და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მტკიცებულებებს. სააპელაციო კომისიამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება მოითხოვოს გასაუბრება იმ პროფესიულ მასწავლებელთან, რომლის შეფასების შედეგს არ ეთანხმება პროფესიული სტუდენტი/მსმენელი. სააპელაციო კომისია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება დატოვოს, შეცვალოს ან საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება 2 (ორი) სამუშაო დღეში, რომელიც აისახება ოქმში და მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს და კოლეჯის დირექტორს. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების (თეორიული ან/და პრაქტიკული) ჩატარების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განისაზღვრება განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების ადგილი, თარიღი, დრო. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგი პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ცნობილი გახდება არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში. პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება სასწავლო პროცესის მენეჯერს (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ინფორმაციას მიიღებს სატელეფონო შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით). რეაგირებისათვის გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, არ განიხილება. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ექსპერთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციებში გაწერილი მექანიზმების შესაბამისად ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების პროცედურებსა და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებსა და პროცედურებს, ინფორმირებულნი არიან შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების თაობაზე, თუმცა მათი თქმით, ამ უფლებით სარგებლობის აუცილებლობა არ დამდგარა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც რეგულირდება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთობები. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: კოლეჯი ვალდებულია მისცეს, ხოლო სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, რაც ამასთანავე კოლეჯის მხრიდან სტუდენტისთვის უსაფრთხო და სათანადო მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსებით სასწავლო გარემოს შექმნასა და აღჭურვას გულისხმობს. კოლეჯი ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტის შეფასებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული მექნიზმები. სტუდენტი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასევე სტუდენტი ადასტურებს, რომ კოლეჯს აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დავის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კოლეჯში განსაზღვრულია არასრულწლოვანთან და შშმ პროფესიულ სტუდენტებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მათ შორის გადამოწმდა სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს. კოლეჯს ჰყავდა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, რომელთა პირად საქმეებში განთავსებული იყო მშობლების პირადობის მოწმობები და დაბადების მოწმობების ასლები. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებებსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშვების მექანიზმს, რომლის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას. გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში არ ჰყოლიათ სსსმ/შშმ სტუდენტი და საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებამ მზაობა გამოაცხადა ინდივიდუალური გეგმის შედგენასთან დაკავშირებით კანონმდებლობის და შიდა რეგულაციების დაცვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ის* დირექტორის ბრძანებით N 37 07.09.2022 წლის (ცვლილება შეტანილია N 54 08.11.2022) „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შპს „ნატალი აკადემიის“ დირექტორის №39 (07.09.2022) ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
3. აკადემიის დირექტორის 2022 წლის 06 სექტემბრის N 34 ბრძანებით დამტკიცებული შიანაგანა წესი
4. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს „ ნატალი აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 37 07.09.2022 წლის (ცვლილება შეტანილია N 54 08.11.2022) „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების“ თანახმად, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია კონსულტირების სერვისების მიღება როგორც მასწავლებლისაგან, ასევე ადმინისტრაციისაგან; დაწესებულება სისტემატურად ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესთან და ისეთ კომპონენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა სწავლის შედეგების დადასტურებისა და განმეორებითი შეფასების თარიღები. ზემოთხსენებული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. კოლეჯის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში. კონსულტირებაში ჩართული არიან ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რომელიც აქტიურ დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ასევე, დაწესებულება ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რომელიც ეხმარება უკეთ გამოავლინოს სტუდენტების საჭიროებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიურებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრებს აორგანიზებს როგორც ახლადჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე უკვე მოქმედ და წინა პერიოდში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან. პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოში ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები აცნობენ სტუდენტებსშინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნორმებს, როგორც კოლეჯში არსებული სასწავლო გარემოსათვის, ისე პრაქტიკის ობიექტზე. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა და შეხვედრების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. დაწესებულების დებულებებში გაწერილია პროფესიული სტუდენტისათვის შეთავაზებული მომსახურებებისა და პროცედურების (სარეგისტრაციო, მობილობის, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გასაჩივრების და ა.შ.) ვადები. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს სტუდენტის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. კოლეჯში წერილობითი კომუნიკაციის საკითხები დარეგულირებულია დირექტორის 07.09.2022 წლის N 39 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიულ სტუდენტებსა და კურდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ ღია და თბილი გარემოა. კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ დადასტურდა, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

**4. კოლეჯში არ მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავების, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა დაა სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა. დაწესებულების ბიუჯეტში სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად არ არის გათვალისწინებული გარკვეული თანხა. სტუდენტებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მსგავსი ინიციატივებით სტუდენტებს ჯერ არ მიუმართიათ. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახული აქვს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება 5 თვის განმავლობაში და გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტში გარკვეული თანხის გამოყოფა, რის საფუძველზეც ინდიკატორი 3.2.1.4 მეტწილადაა შეფასებული.**

5. დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასებას, მიღებულ შედეგებზე რეაგირებას და ამ შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვას. მიზნების მისაღწევად კოლეჯი სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული შიდა და გარე მხარის ჩართულობას (პროფესიული სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ), რადგანაც კმაყოფილების კვლევა არ არის სრულყოფილი და ნათელი (მწირია), რათა მოხდეს აშკარა გამოწვევის დადგენა და ანალიზის საფუძველზე რეალური მიზნების დასახვა მათ გამოსასწორებლად. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს კმაყოფილების კვლევას კოლეჯის სერვისებთან დაკავშირებით, თუმცა თვითონ ახალი დანიშნულია და დაწყებული აქვს სისტემის შესწავლა და სამომავლოდ გეგმავს გააუმჯობესოს ეს ხარისხის შიდა მექანიზმებით განსაზრული ამოცანები; მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმა. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები არ იყო სრულყოფილი, ინფორმაციული და გაზომვადი, რაც რისკს ჰქმნის მომავალში მისი გამოყენების შემთხვევაში გაიპაროს მთელი რიგი საჭიროებები და ვერ მოხდეს ინსტიტუციური განვითარება; ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით კმაყოფილების კითხვარი არ იძლევა მიზნობრივი ინფორმაციის მიღების საშუალებას და საჭიროებს გადახედვას. ამასთანავე, ხარისხის უზურნველყოფის მენჯერის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ანგარიში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასზე რეაგირების გეგმა. **თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში იკითხება შემდეგი ჩანაწერი - „დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებში გაიწერება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესრულების კონტროლი“. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, რადგანაც შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით 5 თვის განმავლობაში განსაზღვრული აქვს ინდიკატორით მოთხოვნილი საკითხის შესაბამისობაში მოყვანა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „ ნატალი აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 37 07.09.2022 წლის (ცვლილება შეტანილია N 54 08.11.2022) „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“
2. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები დამტიცებული დირექტორის ბრძანებით 07.09.2022 წელი.
3. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი
4. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულებაში მოქმედ დებულებებში გათვალისწინებულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. პროფორიენტაციის ფარგლებში სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ღებულობენ კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას, რაც დასტურდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების, როგორიცაა ღია კარის დღე, ფორუმი, სემინარი და სხვა ამსახველი ფოტომასალით.
ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული, რადგანაც კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია.
2. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზები. ბაზების შექმნაზე და მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი. კოლეჯის წარმომადგენლები აორგანიზებენ შეხვედრებს, ღია კარის დღეებს, ახდენენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია facebook ჯგუფი, სადაც რეგულარულად იდება ვაკანსიები და სიახლეები დასაქმებასთან დაკავშირებით. ვაკანსიები ქვეყნდება, ასევე კოლეჯის Facebook გვერდზეც და თავსდება თვალსაჩინო ადგილას, განცხადებების დაფაზეც. კარიერული განვითარების მიზნით, კოლეჯი, ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა კურსების, კონფერენციების პროფესიული აქტივობებისშესახებ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის. აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიურებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის პროფესიით დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.**

ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია კარიერული მომსახურეობის კვლევა. ამ მიზნის განსახორციელებლად, კოლეჯი რეგულარულად უნდა ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებდეს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. აღნიშნული გზით კოლეჯი უნდა იცნობდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, იღებდეს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, საჭიროების შემთხვევში გადიოდეს პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა მუშავდებოდეს და იქმნებოდეს კურდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა. კოლეჯში არის სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ბაზები, რომელსაც მართავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან გასაუბრებისას **ვერ დადგინდა** კვლევის საფუძველზე დაწესებულება ახდენს თუ არა მყისიერ რეაგირებას და აუმჯობესებს თუ არა მომსახურების ხარისხს **თუმცა,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადით გაწერილი აქვს ზემოთაღნიშნული საკითხის აღმოფხვრა და შესაბამისობაში მოყვანა; ინდიკატორი 3.2.2.4 მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები დამტიცებული დირექტორის ბრძანებით 07.09.2022 წელი.
2. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი
3. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ს დამტკიცებული აქვს შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy „სტრუქტურული ერთეულების დებულება" (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ოქმი №1 05.09.2022), სადაც დეტალურადაა აღწერილი დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებული თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თანამშრომელთა პირად საქმეებში დევს მათივე ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პოზიციის ფუნქცია მოვალეობები. აღნიშნულის გაცნობა ევალება კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.

თითოეული პოზიციისთვის ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული, არ არის ურთიერთგამომრიცხავი და არ იკვეთება გადაფარვები. შემუშავებული სამუშაო აღწერილობები შესაბამისობაშია დაწესებულების სტრუქტურასთან და სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობას იძლევა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, <u>**პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს შემუშავებული აქვს სტრუქტურა და ადმინისტრაციული საბჭოს მიერ დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების დებულება“, რომლის იერარქია და ფუნქცია-მოვალეობების აღწერითი ნაწილი და სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება სრულად უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის შესრულებას.
დირექტორთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა სასწავლო პროცესის მენეჯერის ვაკანსია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა კადრის მოძიება. ამჟამად დაწესებულებას შერჩეული ყავს კადრი აღნიშნულ პოზიციაზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჯერ არ მომხდარა. მტკიცებულებად კოლეჯმა წარმოადგინა მათ მიერ 09.09-08.10.2022 წლის პერიოდში Hr.ge-ს პლატფორმაზე განთავსებული სასწავლო პროცესის/ სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსია.
უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის თებერვლიდან მოყოლებული ერთი ადამიანი ასრულებს, თავდაპირველად სასწავლო პროცესის მენეჯერის და დაწინაურების შემდგომ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციებს, რომელიც მიუხედავად მისი ოფიციალური პოზიციისა ითავსებდა ორივე პოზიციის მოვალეობებს.
დაწესებულებას იურიდიული, IT, შენობის ფიზიკური დაცვის მომსახურებები გატანილი აქვს აუთსორსზე, რომელთა მოვალეობები გაწერილიაა მომსახურების ხელშეკრულებებში.
დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ პრაქტიკულ ნაწილში გამოიკვეთა <u>ხარვეზი: დაწესებულებას არ ყავს სასწავლო პროცესის მენეჯერი და მის მოვალეობებს ითავსებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რაც დაწესებულების ძირითადი საქმიანობის შესრულების ნაწილში წარმოშობს ბუნდოვნებას ორი ფაქტორის გამო. პირველ რიგში ორივე პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები წარმოადგენს კოლეჯის საქმიანობის ძირითად ღერძს და მისი ერთი ადამიანის მიერ, შრომის კოდექსის დარღვევის გარეშე, სრულყოფილად შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამასთანავე სასწავლო პროცესის მენეჯერი არის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დაქვემდებარებული პირი , რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, რაც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.</u>
*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის თანახმადაც კოლეჯს დანიშნული ყავს სასწავლო პროცესის მენეჯერი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და <u>დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით დაინიშნოს სასწავლო პროცესის მენეჯერი ინტერესთა კონფლიქტის და შრომის კოდექსის გათვალისწინებით.</u>

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, <u>პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.</u>

3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად პსდ-ს განსაზღვრული ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის უფლება-მოვალეობები და ფუნქციები გვხვდება დოკუმენტებში: „სრტუქტურული ერთეულების დებულება", „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები" (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ოქმი№1 5.09.2022)„პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება" და „შინაგანაწესი". ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია მოვალეობები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და იძლევა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სისტემურად შეფასების შესაძლებლობას.

დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ ასახული იყო, რომ ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა <u>ხარვეზი: ახარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას ასრულებს ერთი ადამიანი, რაც ცალსახად ადასტურებს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან ერთ პიროვნებას არ შეუძლია განახორციელოს თავისივე მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და შეფასება.</u>

*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის თანახმადაც კოლეჯს დანიშნული ყავს სასწავლო პროცესის მენეჯერი.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და* <u>დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვისა და კოლეჯის ძირითადი საქმიანობის შესრულებისთვის დაინიშნოს სასწავლო პროცესის მენეჯერი.</u>

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, <u>პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy „სტრუქტურული ერთეულებბის დებულება“ (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ოქმი №1 05.09.2022);
2. სამუშაო აღწერილობის თანამშრომელთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი;
3. თანამშრომელთა პირადი საქმეები;
4. პსდ-ს სტრუქტურა;
5. Hr.ge-ზე განთავსებული ვაკანსიის განაცხადი;
6. მომსახურების ხელშეკრულებები;
7. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ოქმი№1 5.09.2022);
8. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „სტრატეგიული გეგმა 2022-2029“ (დამტკიცებული იქნა დირექტორის ბრძანებით №08 22.02.2022);
9. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „სამოქმედო გეგმა 2022-2023“ (დამტკიცებული იქნა დირექტორის ბრძანებით №8 22.02.2022);
10. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „შინაგანაწესი“;
11. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ოქმი№1 5.09.2022).
12. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუირება.

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესის დოკუმენტი (დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 06 სექტემბრის №34 ბრძანებით) სადაც გაწერილია სამუშაოზე მიღების - დასაქმების მსურველთა შერჩევისა და სამსახურში აყვანის წესი, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. ასევე, დასაქმებულის უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. შინაგანაწესი მოიცავს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და წახალისებისა წესს. შინაგანაწესით დარეგულირებულია დასაქმებულისთვის შვებულების, მივლინების და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების მექანიზმები.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy- ს ასევე დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსები მართვის დებულება“ (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ №1 ოქმით 05.09.2022), რომელიც გარდა ზემოთ მოცემული ინფორმაციის ნაწილისა მოიცავ ახალი პერსონალის სამუშაო გარემოში ინტეგრაციისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ადამიანური რესურსები მართვის დებულების“ თანახმად ადამიანური რესურსების მენეჯერი ხელშეკრულების გაფორმებამდე პასუხისმგებელია გააცნოს კანდიდატს შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის დებულება, პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობა, რომელზეც ის უნდა დასაქმდეს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, <u>პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.</u>

2. პერსონლის სამუშაოზე მიღების წესი Nataly Academy-ს განსაზღვრული აქვს შინაგანაწესის მეოთხე მუხლში და „ადამიანური რესურსების მართვის დებულება“-ში, რომლის მიხედვითაც პერსონალის მოზიდვა (მუხლი 7) ხდება სამი ძირითადი გზით: 1. შიდა კადრების როტაცია; 2. შიდა ან გარე რეკომენდატორების საშუალებით; 3. სხვადასხვა პლატფორმაზე ვაკანსიის განაცხადის გამოქვეყნებით.
დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შერჩევის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა, კორექტულობა. კანდიდატის შერჩევა ძირითადად ხდება გასაუბრების და კონკურსის საფუძველზე. „სტრუქტურული ერთეულების დებულების“ მიხედვით გასაუბრებას ფასილიტაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. პროცესში მონაწილეობა ღებულობს დირექტორი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/მენეჯერი. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანდიდატის შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ.
„კონკურსის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კონკურსის ჩატარების ფორმა, წესი, კონკურსის ჩატარების ვადა, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და მათი ფუნქციები“ (ადამიანური რესურსების მართვის დებულება 9.1.). შეფასება ხორციელდება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით - ქულათა სისტემით ან კენჭისყრით. კანდიდატისათვის შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელია ადამიანური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების მენეჯერი. (კანდიდატს შედეგი ეცნობება სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით).
მექანიზმებში გაწერილი პროცედურების ნათლად დასანახად ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროცესის ამსახველი მტკიცებულებები: ჩატარებული კონკურსის პირობები, ჯგუფის შემადგენლობა, შერჩევის დოკუმენტაცია (ქულები ან კენჭისრის აღრიცხვა), კითხვარები, გასაუბრების შედეგები და სხვა, რომელიც ადასტურებს აქამდე განხორციელებული პროცედურებების ობიექტურობასა და გამჭირვალობას. **დაწესებულებას პერსონალის შერჩევის არცერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.**
ადმინისტრაცასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის თარიღამდე 06.09.2022 და „ადამიანური რესურსების მართვის დებულების“ დამტკიცებამდე 05.09.2022 კადრის მიღება ხდებოდა დირექტორის მიერ ეთპიროვნული გასაუბრებების შედეგად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე.
დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოიკვეთა **ხარვეზი: დაწესებულების მხრიდან მოწოდებული არასაკმარისი მტკიცებულებების შესწავლისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, არ დგინდება კადრების მოზიდვისა და დასაქმების დროს გაწერილი მექანიზმების შესრულება, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპების გამოყენება.**
*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში გაიწეროს კადრების მოზიდვის და დასაქმების მექანიზმების შესრულების კონტროლი. აღნიშნული აქტივობა მოიცავს 5 თვეს და სრულდება 2023 წლის ივნისში.*
*აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და* **დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია მექანიზმებში გაიწეროს კადრების მოზიდვის და დასაქმების მექანიზმების შესრულების კონტროლი.**
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, **ბუნდოვანია პსდ- ს მიერ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს თუ არა პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლის შემადგენლობა შესაბამისობაშია შინაგანაწესითა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები CV, დიპლომი, სერთიფიკატი და სხვა აკმაყოფილებს „სტრუქტურული ერთეულების დებულების" დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები უზრუნველყოფილია, **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

4. „ადამიანური რესურსების მართვის დებულების" დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპია გუნდურობა და პარტნიორობა.

გასაუბრებითა და მტკიცებულებების წარმოდგენით დასტურდება, რომ კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები და პროფესიული მასწავლბლები აქტიურად არიან ჩართული გუნდურ სამუშაოებში და თანამონაწილეობით ქმნიან მნიშვნელოვან დოკუმენტებს. მაგალითად, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები შემუშავებულია პერსონალის თანამონაწილეობით (სამუშო ჯგუფის დამტკიცების ბრძანებით №46, სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმებით №1, 2). ასევე თანამონაწილეობითი პროცესის შედეგად მოხდა შიდარეგულაციების გადახედვა, შემუშავება (სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება №17) და საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, გადამოწმება (სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება №41).

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „შინაგანაწესი";
2. „ადამიანური რესურსები მართვის დებულება" (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ №1 ოქმით 05.09.2022);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს „სტრუქტურული ერთეულების დებულება“;
4. დირექტორის ბრძანება №46 „სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის გადახედვის, შემუშავებისა და გაზიარების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“
5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №1 31.12.2021;
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Academy-ს სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №2 18.02.2022;
7. დირექტორის ბრძანება №17 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 19.02.2022;
8. დირექტორის ბრძანება №41 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 26.09.2022;
9. პერსონალთან ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. „ადამიანური რესურსების მართვის დებულების" დოკუმენტში გაწერილია მუხლი 16. პერსონალის შეფასება, რომლის მიზანია, პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარება, აგრეთვე კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის /სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

პერსონალის შეფასება ხდება წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის შესაბამისად . ესენია: ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარი; კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარი; დამსაქმებლების მიერ შევსებული კითხვარი. დაწესებულება იყენებს შეფასების ორი სისტემას: რაოდენობრივს და ხარისხობრივს. შეფასების პროცესს ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და საბოლოო შედეგების ანალიზს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მასწავლებლების შეფასება ასევე ხდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით მოდულის დასრულებამდე მინიმუმ ერთხელ. გაკვეთილის პროცესს ესწრება ადამიანური რესურსების მარვის მენეჯერი ან სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც საბოლოო ანგარიშს და შეფასებას წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. პერსონალის შეფასება შესაძლოა მოხდეს დირექტორის მიერაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა პროცესის განხორციელების მტკიცებულებები: შევსებული კითხვარები, შეფასების შედეგები, ანგარიშები, გაკვეთილზე დასწრების ამსახველი დოკუმენტაცია და სხვა. დაწესებულებამ გარდა, შემუშავებული კითხვარებისა, პერსონალის შეფასების პროცესის ამსახველი არცერთი მტკიცებულება არ წარმოადგინა. ექსპერტთა მიერ კითხვარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ის ვერ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის სრულყოფილ შეფასებას. ხოლო პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის თვალსაზრისით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კითხვა, რის შედეგადაც შესაძლებელია მხოლოდ პირადი სურვილის დაფიქსირება.

ადამიანური რესურსების მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალის შეფასების პროცედურა ჯერ არ განხორციელებულა. მან წარმოადგინა „ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის განვითარების გეგმა 2022-2023“, რომლის თანახმადაც კითხვარების შევსება უნდა მოხდეს 12.2022-01.2023 პერიოდში, ხოლო პროფეესიული მასწავლებლების საქმიანობის შეფასება/ანალიზი 10-12.2023 პერიოდში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2022-2023 სამოქმედო გეგმის დოკუმენტში აღნიშნული აქტივობა გაწერილი არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნის პროექტში შეფასების პროცესის განხორციელებაში დაფიქსირდა ხარვეზი, რადგან დაწესებულებას წინა წლების განმავლობაში შესრულებული პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების კვლევის შედეგების მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებში გაიწეროს "ადამიანური რესურსების მართვის დებულების" მუხლი 16. პერსონალის შეფასებაში გაწერილი მექანიზმების შესრულების კონტროლის პასუხისმგებლობა. აქტივობის შესრულება გასტანს 5 თვეს და დასრულდება 2023 წლის ივნისში.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და* დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია განისაზღვროს პირი/სამსახური ვის მოვალეობაშიც გაიწერება პერსონალის შეფასების პროცესის შესრულების კონტროლი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილდა, პსდ ვერ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

2. დაწესებულებამ წარმოადგინა ფინანსური მენეჯერის მიერ კურსის „ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების „ფასს)" გავლის სერთიფიკატი, თუმცა საჭიროების საფუძველი, გეგმა ან/და დაფინანსების წყარო მტკიცებულებების მიხედვით უცნობია.

დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ დაფიქსირდა ხარვეზი: პსდ-ს მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის პერიოდში პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევის შედეგების ანალიზი და მის საფუძველზე გაწერილი პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების გეგმა წარმოდგენილი არ ყოფილა. ასევე, შესაბამისი აქტივობები გაწერილი არ არის „სამოქმედო გეგმის 2022-2023“ დოკუმენტშიც.

*თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია პერსონალის და პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების კმაყოფილების კითხვარში პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის ნაწილის გადახედვა და დახვეწა. დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებში პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის ჩატარების პროცესზე, ანალიზსა და შემდგომი გეგმის შედეგენის პროცესზე პასუხისმგებლობის გაწერა. აქტივობა გასტანს 5 თვე და დასრულდება 2023 წლის ივნისში.აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში და* დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია განსაზღვროს პირი, რომლის ვალდებულებებში გაიწერება პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის ჩატარების პროცესზე, ანალიზსა და შემდგომი გეგმის შედეგენის პროცესზე პასუხისმგებლობა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდა, პერსონალის განვითარება არ ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

2. დაწესებულებას ვიზიტამდე ან ვიზიტის პერიოდში სწავლების მიმართულებით პროფესიულ მასწავლებელთა განვითარების აქტივობების მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ხოლო დარგობრივი უნარების განვითარებისათვის რამდენიმე მასწავლებელი დაესწრო საერთაშორისო კომპანიების მიერ გამართულ კურსებსა და სემინარებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა სერტიფიკატები და ფოტო მასალა.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს მათ პროფესიულ განვითარებას.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების სწავლების მიმართულებით საჭიროების კვლევა და განვითარების აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. „ადამიანური რესურსების მართვის დებულების“ დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი, რომელსაც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, შესაბამისი სტრუქტურული ეთეულის მენეჯერი, (ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე),პროფესიული მასწავლებლები. პროცესის შედეგად ხდება ახალი თანამშრომლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და კოლეგებთან, ვებ-გვერდის გაცნობა, კოლეჯის შიდა არსებულ სოციალურ ქსელებსა და ჯგუფებში ჩართვა, მარეგულირებელ დოკუმენტების გაცნობა.

ადმინისტრაციულ პერსონალთან, თანამშრომლებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრირება და სამუშაო პროცესში ჩართვა წარმატებით ხორციელდება.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

4. დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტებსა და მექანიზმებში გაწერილი არ აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და დაკმაყოფილების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუმცა გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ პერსონალს აქვს ინფორმაცია ინიციატივების დაფიქსირებასთან დკავშირებით და უსარგებლიათ ამ სისტემით. კერძოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის/კარიერული განვითარების მენეჯერმა მისი ბიბლიოთეკარის პოზიციაზე დანიშვნის შემდგომ მოითხოვა ამ მიმართულებით გადამზადება, რადგან მას არ გააჩნდა შესაბამისი კომპენტეციები. ინიციატივის დაფიქსირება მოხდა ზეპირსიტყვიერად ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან, რომელმაც ინფორმაცია გადაამისამართა დირექტორთან. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ტრენინგის საფასურის გადახდის ქვითარი და თანამშრომლის სერთიფიკატი.

დაწესებულებას მიეცა **რეკომენდაცია მექანიზმებში გაწეროს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და განხორციელების პროცედურები.**

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „ადამიანური რესურსები მართვის დებულება“ (დამტკიცებულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ №1 ოქმით 05.09.2022);
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის განვითარების გეგმა 2022-2023;
3. ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი;
5. The certificate of Soak off UV/LED gel polish course NCLA Losangeles;
6. FRAMESI ACADEMY, Iatlian Style Energy SS Haircut Collection 2022;
7. კომპანიის მიერ ტრენინგის საფასურის გადახდის ქვითარი;
8. „სასწავლო დაწესებულებების და რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა გადამზადების ზოგადი პროგრამა“ სერთიფიკატი.
9. ფოტო მასალა;
10. სოციალური ჯგუფები;
11. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიურება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული სასწავლო ფართი კომპანიისაგან შპს „ნატალი“, რომელიც დასტურდება ხელშეკრულებით, რომლის საგანია წინამდებარე ხელშეკრულებით ქვემოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს ქვემეიჯარის დროებით სარგებლობაში არსებული 450 (ოთხას ორმოცდაათი) კვ.მ. ფართი მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, ბლოკი „C“, (-1.20 ნიშნული) ფართი 35/1, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.03.001.015.03.502;
203 (ორას სამი) კვ.მ ფართი მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, ბლოკი „C“ (-7.80 ნიშნული) ფართი 35/3/1, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.03.001.015.03.506; 82 (ოთხმოცდაორი) კვ.მ. ფართი მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, ბლოკი „C“, (-7.80 ნიშნული) ფართი 35/3/2, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.03.001.015.03.507; საგანამანთლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის მდგომარეობის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს მატერიალური რესურსების მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი. შედეგები გადაეცემა კოლეჯის ფინანსურ მენეჯერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების შესასრულებლად. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, კოლეჯში მიმდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მატერიალური რესურსების მენეჯერი. ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების ინვენტარიზიის, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები, რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტები, დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთვრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები. კოლეჯის პერსონალის ჩართულობით, ექსპერთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა და შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეიმუშაოს მატერიულაური რესურსების მართვის დოკუმენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

**2.** კოლეჯის თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კოლეჯის ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით. კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, კოლეჯის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნული პირი - მატერიალური რესურსების მენეჯერი პასუხისმგებელია ზემოთაღნიშნულ მომსახურებების გაწევაზე და მასთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მათ უფლება აქვთ ისარგებლონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით. სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას. პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ასევე, დაწესებულების ქვედა სართულზე არ არის შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობა (პანდუსის არქონის გამო), თუმცა გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ქვედა სივრცეს ავტორიზებული პროგრამებისათვის არ იყენებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

**3.** კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებენ დიასახლისი, რომლის მუშაობის ხარისხს აკონტროლებს მატერიალური რესურსების მენეჯერი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დასუფთავსების განრიგები, დიასახლისთან შეთანხმებული და მის მიერ ხელმოწერილი მუშაობის გრაფიკები, სადეზინფექციო საშუალებების მოთხოვნის ჟურნალები, ნარჩენების გატანის დოკუმენტები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ზემოაღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღწერა საკუთარი სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები და ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ლოკაციაზე არის ცენტრალური გათბობის სისტემა, შესაბამისად, ყველა სასწავლო

აუდიტორია, პრაქტიკის ლაბორატორიები და ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან; კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძროსტენდი), რომლის გამოყენების თაობაზე კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ტარდება ინსტრუქტაჟი, რაც დასტურდება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ამსახველი ფოტო მასალით და დასწრების ჟურნალით. კოლეჯის დირექტორის №38 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირების სახანძრო უსაფრთხოების, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გადაადგილების დროს სტუდენტების დახმარების საკითხებს. მოცემული შიდა მარეგულრებელი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია. ექსპერტთა შეფასებით 5.1.1.5 სრულადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. დაწესებულებაში ვიზიტის დროს სტუდენტებთან გასაუბრებისას და პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ფარგლებში საჭირო ნედლეულითა და მასალებით უზურნველყოფილია. ამის დასადასტურებლად ექსპერტებმა გამოითხოვეს შესაბამისი მტკიცებულებები, შესყიდვის აქტები და მიღება-ჩაბარების დოკუმენტები; ამასთანავე ექსტერთა ჯგუფმა შეისწავლა მასალებისა და ნედლეულის იდენტიფიცირების, მოთხოვნისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალების, ნედლეულის და შექმნილი პროდუქტის ჩამოწერის საკითხები. ზემოაღნიშნული წესის თანახმად, მატერიალური რესურსების მენეჯერი მიმართვის შემდეგ ამოწმებს საცავში არსებული სახარჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასალების რესურსს და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მოთხოვნას შესყიდვის განსახორციელებლად. ზემოაღნიშნული პროცესის შესრულების დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ მოცემული რესურსის მიწოდების, ამ რესურსების შესყიდვის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

**კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „ ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმები“ არ არის გაწერილი მატერიალური რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმა, რაც ცალსახად არღვევს ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების მართვის პროცედურასთან და რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმასთან დაკავშირებული მექანიზმი, რაც საჭიროა უზურნველყოს დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვა, შენახვა, განვითარება და გამოყენების პროცესის მართვა, თუმცა ჰყავს მატერიალური რესურსების მენეჯერი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია მთელი რიგი ზემოთაღნიშნული პროცესების წარმართვა. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი არ ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 5 თვის ვადაში მოხდება რეგულაციაში საკითხის განსაზღვრა და რეგულაციის საფუძველზე პროცესის წარმართვა, რომელსაც დაწესებულებაა დაასრულებს ივნისის თვეში; ამ ყველაფრის გათვალისწინებით ინდიკატორი 5.1.1.7 მეტწილადაა შეფასებული.**

8. დაწესებულების მფლობელობაში, შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, **მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

9. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დაწესებულების ქვედა სართულზე ერთ-ერთ აუდიტორიაში არ იყო ბუნებრივი განათება, გასაუბრებით დადგინდა, რომ ავტორიზებული პროგრამებისათვის ქვედა სასწავლო ფართს დაწესებულება არ იყენებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. კოლეჯის, როგორც ძირითადი ისე დამატებითი ფართის ყველა სივრცეზე არის ფოიე. სასწავლო აუდიტორიები და სახელოსნოები განთავსებულია ყველა სართულზე და დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, სართულების შესაბამისად, გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ყველა ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია სამასწავლებლოში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11.კოლეჯის დირექტორის 202 წლის 7 სექტემბრის №39 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებსა და საათებს, ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესებს, ბიბლიოთეკის და მკითხველის უფლება - მოვალეობებს, საბიბლიოთეკო ერთეულის გატანისა და საბიბლიოთეკო რესურსის შეფასების საკითხებს. კოლეჯს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებას, სკანერის გამოყენებას, კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობას, საკანონმდებლო მაცნეს გამოყენებას და ბიბლიოთეკარის კონსულტაციას. კოლეჯში ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის მკითხველად, ბიბლიოთეკარი ახორციელებს შესაბამისი ჟურნალების წარმოებას. პროფესიულ სტუდენტებს ელექტრონული სახელმძღვანელოების გამოყენება შეუძლიათ, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე ვებ-გვერდზე განთავსებულ კატალოგიდან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების ბიბლიოთეკაში არსებობის ფაქტი, რაც სრულად იქნა დადასტურებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესისშესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

1. დირექტორის მიერ დამტკიცებული „ ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმები“
2. შენობა-ნაგეგბობის სარგებლობის იჯარის ხელშეკრულება
3. დირექტორის მიერ დამტკიცებული N 39 07.09.2022 წლის „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“
4. მატერიალური რესურსების მენეჯერის საშტატო ერთეულით განსაზღბვრული ფუნქცია-მოვალეობები
5. კოლეჯის მატერიალური რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტები;
6. დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთვრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის
დოკუმენტები;
7. ცენტრალური გათბობის სისტემის შესყიდვის/მონაჯის დოკუმენტები;
8. კოლეჯის დირექტორის №38 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი.
9. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება და პირადი საქმე
10. დირექტორის მიერ N54 08.11.2022 წლის დამტკიცებული დოკუმენტი - „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:
☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 20202 წლის 15 ნოემბერი №466 აქტი, რომელიც ადგენს დაწესებულების შესაბამისობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონმდებლოთ დადგენილი სახანძრო უსაფრხთოების ნორმების დაცვის თაობაზე და შპს „Natali Academy“ შენობა-ნაგებობას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შპს “საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტისის სამეცნიერო ცენტრის მიერ წარმოდგენილი დასკვნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

2. კოლეჯის „პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის №38 ბრძანებით. კოლეჯში ფუნქციონირებს ექიმის სამსახური, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო და აუციელებელი ინვენტარითა და სამკურნალო საშუალებებით. ექიმი პასუხისმგებელია კოლეჯის თანამშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვაზე. მის კომპეტენციებში შედის: კოლეჯის სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტების, პროფესიულ მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის; ინფექციური თუ ვირუსული დაავადების არიდების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა მონაცემების ასახვა შესაბამის ჟურნალში, რომელშიც მოცემულია მონაცემები სისხლის ჯგუფის, რეზუსის, ალერგიისა და გადატანილი დაავადებების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება 112-ზე დარეკვით. კოლეჯში მედდა პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟს ადმინისტრაციისა და სტუდენტებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საკითხებზე. ექსპერტებმა დაათვალიერესეს დაწესებულებაში არსებული სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალი, რითაც დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა". სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. ექსპერტებმა დაათვალიერეს ყველა მტკიცებულება, გაესაუბრნენ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, თუმცა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგაგნგებო სიტუაციების შტაბის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი; ექსპერტებმა დასკვნის პროექტის შედგენის დროს დაახარვეზეს ეს ინდიკატორი; დაწესებულებას აღმოაჩნდა აღნიშნული დოკუმნეტი, რომელიც წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, რაც თარიღდება 04/10/2022- ით ბრძანება ნომრით 00000044, რაც ეჭვს არ აჩენს დოკუმენტის ვიზიტის შემდგომ შექმნასთან დაკავშირებით და ამის საფუძველზე ექსპერტებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული ინდიკატორი შეეფასებინათ როგორც „შესაბამისობაშია" . **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 სრულადაა დაკმაყოფილებულია,** დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არის კომპეტენტურ ორგანოსთან, **ასევე დაწესებულებაში არის შექმნილი საგაგნგებო სიტუაციების შტაბი, რომელმაც უნდა უზურნველყოს შესაბამისი ინსტრუქტაჟების განხორციელება დაწესებულებაში;**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას, როგორც ბიბლიოთეკასა და სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ისე ადმინისტრაციის ოთახებში. კოლეჯში დასაქმებულია IT სპეციალისტი აუთსორსინგის წესით,რომელიც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით და პასუხისმგებელია თითოეული კომპიუტერის გამართული კომპიუტერული ქსელით და სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფაზე; ასევე - რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, დაწესებულება უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული რესურსით ადმინისტრაციული სასწავლო პროცესების შეუფერხებლად მუშაობისთვის. კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების გზით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. კოლეჯს გაფორმებული აქვს აუთსორსინგის გენერალური შპს" სკაი ჰაისთან", რომელიც პასუხისმგებელია IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკაზე", რომელიც არეგულირებს კოლეჯში IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, აპარატურის ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმებს, ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკას, პროგრამული უზრუნველყოფის პოლიტიკას, ქსელის მართვის პოლიტიკას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმებს. კოლეჯის IT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალისტი საჭიროებისამებრ ახორციელებს IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 7 სექტმბერი N36 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც არეგულირებს კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებულ მონაცემთა სახეებს, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტებს, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს, სტუდენტური ბაზის ადმინისტრირებას, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის წესსა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული დებულებები არ ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. პერსონალური მონაცემთა ბაზა მდებარეობს ლოკალურად, რომელიც დაცულია ანტივირუსით. კოლეჯის მიერ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით წარმოდგენილია პერსონალსა და სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც სტუდენტები და პერსონალი ადასტურებენ თანხმობას კოლეჯის მიერ პერსონალური მონაცემების მართლზომიერად გამოყენების მიზნებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას, მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კოლეჯის IT ქსელის სპეციალისტი საჭიროებისამებრ ახორციელებს IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი. პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ის აუთსორსინგის ხელშეკრულების საფუძველზე საჭიროებისამებრ ახორციელებს მხარდაჭერის მექანიზმებს და იქ არსებული კომპიუტერების მონაცემები დღის ბოლოს ინახება ცენტრალურ სერვერზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. სასწავლო პროცესში გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. მოქმედებს ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებო სისტემა, შესაძლებელია ელ.ფორმატში ლიტერატურის მიღება,უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა (ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია Wi-Fi). ზემოაღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. კოლეჯი პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებისთვის იყენებს ელექტრონულ საკომუნიკაციო მექანიზმებს. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი სარგებლობს ელ-ფოსტას დაწესებულების დომეინით. პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება საერთო/ჯგუფური ელექტრონული ფოსტა. კოლეჯში ასევე, შექმნილია facebook ჯგუფები პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადატურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აუთსორსინგის გენერალური ხელშეკრულება
2. სპს „სკაი ფაისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება
3. დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“
4. უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
5. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;
6. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები
7. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
8. დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბერი N 39 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა ვალდებულებებს საქმისწარმოების ნაწილში, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირს, შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნის მიდგომებს, დოკუმენტების შედგენას, გაგზავნას, ინდექსებისა და რიგითი ნომრების მინიჭების, ბეჭდების და შტამპების გამოყენებჯს, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების სახეებსა და საარქივო დოკუმენტების ადმინისტრირების წესებს. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა Eflow-ს მეშვეობით. საქმისწარმოებზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. საქმისწარმოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცენტრალიზებულია და მთავარი ლოკაციიდან იმართება. კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

2. კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი იყენებს ელექტრონულ ფოსტას, რომლის საშუალებითაც აქტიურად ხორციელდება ყოველდღიური საქმიანი მიმოწერა თანამშრომლებს შორის. კოლეჯის მმართველობითი და ადმინისტრაციული წარმოების მიზნით, პერსონალის ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFLOW). კოლეჯის ფინანსური პროცესების ადმინისტრირების მიზით გამოიყენება საბუღალტრო, შესყიდვებისა და ინვენტარიზაციის ელექტრონული პროგრამები. კოლეჯის მიერ წამორდგენილია პროფესიულ სტუდენტებთა, კურსდამთავრებულებთან, პერსონალთან და პარტნიორებთან განხორციელებული მიმოწერა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

3. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია სისტემაში ასახულია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბერი N 39 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით" განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს. კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებით ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეგირებაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბერი N 39 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი"
2. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
3. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
4. პროფესიული განათლების მართვის სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
☒შეესაბამება
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





1. კოლეჯს ოფიციალური ვებ გვერდია https://nataliacademy.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვები, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ინფორმაცია ადმინისტრაციის პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების, პარტნიორების შესახებ; განთავსებულია ყველა ტიპის პროგრამა, რასაც კოლეჯი ახორციელებს, ჩარიცხვის პროცედურები, კოლეჯის შიდა აქტები, სიახლეები, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების შესახებ, ვაკანსიები, ინფორმაცია სწავლის დაწყებისა და დასრულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. სოციალური ქსელის მეშვეობით ქვეყნდება, ასევე, კოლეჯში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და სიახლე. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში არის ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობების შესახებ და კოლეჯი საკუთარ ძლიერ მხარედ ასახელებს უცხოელ პარტნიორებს და შესაძლებლობად განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, შესაბამისად კოლეჯს გააჩნია უცხოენოვანი ვებრგერდი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას აქვს როგორც ქართული, ასევე უცხოური ენის შესაბამისი ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯი ვებ-გვერდისა და ოფიციალური FACEBOOK გვერდის საშუალებით, ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას. კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ასევე ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, ხანგრძლივობის, დაშვების წინაპირობის, დასაქმების შესაძლებლობების, პარტნიორი ორგანიზაციების გათვალისწინებით, განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება ხდება, კოლეჯის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, საინფრმაციო შეხვედრების, ღია კარის დღეებისა და სხვა აქტივეობების შესახებ. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ხდება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობის, ხანგძლივობის, შეფასების წესისა და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების არქივი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია „კონტაქტის“ ველი, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა კოლეჯში გააგზავნო კითხვები/სურვილები/რეკომენდაცია. კოლეჯის ვებგვერდზე არის ველი, რომლის საშუალებითაც მსურველები რეგისტრირდებიან და შესაძლებლობა აქვთ დაგეგმონ ვიზიტი და დაათვალიერონ კოლეჯი. კოლეჯში იმართება, საინფორმაციო შეხვედრები და ღია კარის დღეები, სადაც ყველა მსურველს აქვს საშუალება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. საზოგადოებასთან კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს კოლეჯის Facebook გვერდი, რომლის საშუალებითაც, გვერდის ადმინისტრატორი პასუხობს დაინტერესებული პირებისგან შემოსულ შეკითხვებს. ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებულ უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯს ოფიციალური ვებ გვერდი https://nataliacademy.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი
2. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
3. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
4. დომენი და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი;
5. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის შემოსავლების წყაროა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ასევე სტუდენტის მიერ გადასახდელი თანხა . კოლეჯი კალენდარული წლის დასაწყისში ადგენს დაწესებულების საპროგრანოზო ბიუჯეტს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზის დოკუმენტებით (2019, 2020, 2021). ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ფინანსურ მენეჯერს, რომელმაც დეტალურად აღწერა კოლეჯში საფინანსო პოლიტიკის განხორციელების მიდგომები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები 2019, 2020 და 2021 წლებში განხორციელებული საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანური დოკუმენტები, საგადასახდო დავალებები და სხვა, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და შესაბამის ანგარიშგების პორტალზე განათავსებს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორი. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ფინანსურ მენეჯერს, რომელმაც დეტალურად აღწერა კოლეჯის საფინანსო პოლიტიკის განხორციელების მიდგომები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2021 წლის ფინანსური ანგარიში;
2. საპროგნოზო ბიუჯეტი, დაფინანსების დინამიკა
3. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები
4. პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირების შედეგები
5. ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | „ვიზაჟისტი“ |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება:<br>N30, 10.07.2019 / ცვლილება - №12.08.04.2022 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | საქართველო,ქ.თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზირი #71 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 32 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 0 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | 0 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy- ის მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის, „ვიზაჟისტი" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა ჩატარებულია დამსაქმებლებთან,სადაც გამოიკვეთა,რომ კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო,მათ უჭირთ კადრების მოძიება. გამოიკითხა დამსაქმებლები და ასევე პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ადინისტრაციასთან გასაუბრებისას, დადგინდა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული განათლების მიღების მსურველთა მომართვიანობა მზარდია ყოველწლიურად.პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში დატანილია ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები/შედეგები ჩატარებული კვლევების შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და კატეგორია.

**დოკუმენტაციის ანალიზის და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას , შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; პსდ-ს დამტკიცებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების და 1 წლიანი სამოქმედო გეგმა.**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ნატალი აკადემიას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების შესაბამისად.

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ,,ვიზაჟისტი'' დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროცედურა კი გულისხმობს გამოცდების შიდა შერჩევის საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.კოლეჯს შემუშავებული აქვს ჩასარიცხ სტუდენტთა შერჩევის მეთოდოლოგია.

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

კოლეჯის დირექტორის 2019.12.07# 22.. ბრძანების საფუძველზე შემუშავებულია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები (მუხლი 1), პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები (მუხლი 2) და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშების პირობები (მუხლი 3). „ვიზაჟისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სათანადოდ აღჭურვილი, ერთი A/ B და C სასწავლო გარემეობი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი (5 - ზოგადი მოდულის, 2 - პროფესიული მოდულის). „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთების“ მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 32-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.გათვალისწინებულია ასევე პრაქტიკის ობიეტის გამტარიანობა,რაც შესაბამისობაშია მოთხოვნილ კვოტასთან; გათვალისწინებულია ასევე,პანდემიის ან/და სხვა ფორს-მაჟორული სიტუაციის დროს დისტანციური სწავლების შესაძლებლობა;

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრულია 32 სტუდენტით ორ ცვლაში.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ითვალისწინებს A და B და C სასწავლო გარემოს სათანადო აღჭურვილობით, შესაბამისად, პროგრამის განხორციელება შესაძლებელია კოლეჯის ბაზაზე. მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა ხორციელება 3(სამ) პარტნიორ ორგანიზაცაში,მათ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და შეთანხმების საფუძველზე „ნატალი გრუპის“წარმომადგენელი,წამყვანი სპეციალისტი არის პროგრამის ხელმძღვანელი და განამხორციელებელი პირი. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის,როგორც ნაბეჭდი,ასევე ელექტრონული სახით, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო/მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია ცენტრის მოთხოვნასთან. მასწავლებლებს ასევე დამუშავებილი აქვთ დამატებითი მასალები,რითაც სრულად უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა;

**დაწესებულება სრულადაა აღჭურვილი მაღალტექნოლგიური,თანამედროვე მატერიალური რესურსით;**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან**

„ვიზაჟისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.ზოგადი და პროფესიული მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

**6.**საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს,ამ შემთხვევაში დირექტორის მიერ;

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი**

„ვიზაჟისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებუალია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამის სახელწოდება ჩარჩო-დოკუმენტის იდენტურია. შესაბამისად, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟისტი“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, არ არის წინააღმდეგობაში მის მოთხოვნებთან, ადაპტირებულია დაწესებულების მიერ დაშვებებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესი მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს,მოწესრიგებულია,როგორც სტრუქტურულად,ასევე ტექნიკურად;დაწესებულებას შემუშავებული აქვს **პროგრამის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





**განვითარების მექანიზმები, კერძოდ, პროფესიული სიახლეების გაცნობა, დანერგვა; განხორციელების ხარისხის შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზი; ცვლილებების საჭიროების გამოვლენა და ინიცირება; რის ფარგლებშიც,ჩვენი ვიზიტის პარალელურად,მიმდინარეობდა მზადება 8 დეკემბრის საერთაშორისო ტრენინგისათვის,სადაც მოწვეულები იყვნენ უცხოელი პარტნიორები.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებული დირექტორის მიერ;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია(დოკუმენტი)
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.
- A/B/C გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა *და ფართი;*
- პრაქტიკის ობიექტებში ადგილების რაოდენობა.
- პრაქტიკის ობიექტების მატ. და ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგთა რაოდენობა და კვალიფიკაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების, ასევე სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სრული მატერიალური რესურსი ,რაც დასტურდება პროგრამაზე თანდართული ჩამონათვალით, რომელიც გადამოწმდა ადგილზე, ასევე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და მიღება-ჩაბარების აქტებით; პრაქტიკის ობიექტების მატერიალური რესურსითა და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით; პრაქტიკის ობიექტებად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შპს „ნატალი გრუპის" სალონები.

**2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟისტი" განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 5 განსაზღვრულია ზოგად მოდულებზე, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულებზე.

პროგრამის დანართში ადამიანური რესურსების შესახებ პროფესიული მოდულები გადანაწილებულია ზემოაღნიშნულ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელზე იმგვარად, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია ორი განმახორციელებელი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები, რომლის მიხედვითაც კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამა „ვიზაჟისტის“ განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები,. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც დანართად ერთვის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ტრენინგებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქტიურად ატარებენ ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შეფასების საკითხებზე. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა,სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას,პროგრამას ყავს ორი დარგობრივი კომპენტეციის მქონე მასწავლებელი და პროგრამის ხელმძღვანელი; მასწავლებელთა დარგობრივი მიმართულებით მუშაობა და კომპენტეცია დასტურდება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

**პედაგოგთა პროფესიული უნარები დასტურდება ასევე გასაუბრებისა და ნამუშევრების დათვალიერებით.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროგრამის ხელმძღვანელი „ნატალი გრუპის“ წამყვანი სპეციალისტია, აქვს სწავლების გამოცდილება,იგი აქტიურად იყო ჩართული პროგამის ადაპტირების ეტაპზე და მუდმივად უწევს კონსულტაციას პროფესიული განათლების მასწავლებლებს კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში; დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა მისი პირადი საქმე, მათ შორის ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები,ხელშეკრულება გაფორმებულია პროგრამის განხორციელების ვადით,იგი იცნობს საკუთარ უფლება-მოვალეობას,რაც ასევე, მან დაგვიდასტურა ინტერვუს დროს.
პროგრამის ხელმძღვანელის დარგობროვო კომპეტენცია დასტურდება პირადი ინფორმაციის გაცნობითა და ინტერვიუს საფუძველზე;;პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია ხელშეკრულება პროგრამის განხორციელების ვადით,სადაც გაწერილია მისი უფლება-მოვალეობები;პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ უფლება-მოვალეობას,რაც მან დაგვიდასტურა ინტერვუს დროს,კერძოდ:
პროგრამის განახლებაში - საჭირო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ცვლილების ინიცირება;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების კონსულტირება;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების კოორდინაცია;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა;
შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, ვალიდაციის პროცეში მონაწილეობა;
შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში მონაწილეობა;
საკუთრ და პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
მონაწილოება აპლიკანტთა შესარჩევ გასაუბრებაში, ტესტირებაზე.
პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის დატვირთვის შედგენაში მონაწილეობა;
სასწავლო გეგმის, კალენდარული გეგმის, მეცადინეობის განრიგის შედგენაში,პროექტ(ებ)ის განხილვაში მონაწილეობა;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში მონაწილეობა;პროგრამის განმახორციელებელ პირებთან კოორდინაციით, პროგრამაში შემავალი მოდულების სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის/მატერიულური რესურსების განსაზღვრა.
სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებში მონაწილეობა;
პროგრამის დისტანციურად სწავლების შესაძლებლობების დადგენა(სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან კოორდინაციით);
მოქმედი კანონმდებლობით და კოლეჯის სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი** ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული,ასევე მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არის თანამედროვე საბეჭდი მოწყობილობა და დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა, როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმი. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. პროგრამა „ვიზაჟისტის“ სამივე სასწავლო გარემო,ასევე სასწავლო საწარმო. ადაპტირებულია სსსმ პირთათვის,

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით, სწავლება ხორციელდება სახელმწიფო თანადაფინანსებით (70%) პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია **10** პროფესიული სტუდენტით, რომლის მიხედვითაც დათვლილია მიღებული შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება კომუნალური და სხვა ხარჯი. აქედან გამომდინარე დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- **კოლეჯის განვითარების სტრატეგია ;**
- **კოლეჯში პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ვიზაჟისტი“**
- **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**
- **შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ,**
- **პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე, გაფორმებული ხელშეკრულებები;**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგთა პირადი საქმე;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დოკუმენტების შესწავლით და დათვალიერებით მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსი;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის  ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07.09 №40 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის N30 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 3 ოქტომბრის N 42 ბრძანებით) დამტკიცებული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟი“ და კოლეჯის დირექტორის 07.09.2022 წლის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ ითვალისწინებს პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურებს, არეგულირებს პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები;

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07.09 №40 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ და „შიდა ვერიფიკაციის წესი“ ;
2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07.09 №37 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“
3. დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
4. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
5. კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
7. პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
5. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; პდს-ის მიერ დამტკიცებული პროგრამა წარმოდგენილია 3 დანართით:1,მატერიალური რესურსი,2.ადამიანური რესურსი,3.სასწავლო გეგმა.** სასწავლო გეგმის მიხედვით,მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა შესაბამისობაშია მისაღწევი შედეგების გამომუშავებასთან,თუმცა ორი მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შემთხვევაში(სილამაზის მომსახურების ორგანიზება და სამოქალაქო განათლება) განხორციელებისას სასწავლო გეგმით იყო სამკვირიანი წყვეტა მოდულის განხორციელების შუაში, რაზეც **კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში გაასწოროს არსებული უზუსტობა ;**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით** და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები ან|და პრობლემები მყისიერად განიხილება ადმინისტრაციის მიერ და დგინდება მისი გადაჭრის გზები,კოლეჯი მთლიანად მორგებულია სტუდენტთა ინტერესებს,რაც ასევე ასახულია და დასტურდება კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტითა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე;

**3. პსდ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე** მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას,რაც ასევე დასტურდება A\B\C გარემოს დათვალიერებით, აღჭურვილობისა და მისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცნობით; პანდემიის პერიოდზე მყისიერი რეაგირებითა და ჰიბრიდულ სწავლების ფორმაზე გადასვლით;

**4. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან**/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; პრაქტიკის 3(სამი)ობიექტი არის „ნატალი გრუპის“პარტნიორი სალონი,რომელიც სრულად აკმაყოფილებს კვოტით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიღებას,მაგრამ მიუხედავად ამისა,კოლეჯის ადმინისტრაცია ორიენტირებულია,ახალ ობიექტებთან თანამშრომლობაზე; მემორანდუმი გაფორმებულია პროგრამის განხორციელების ვადით,გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები,პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები; პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა,სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფი კოორდინაციის საკითხები ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობით.

**5. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში**, პსდ სრულადაა აღჭურვილი უსაფრთხოების თანამედროვე დაცვის სიტემით,თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია კოლეჯში და მის ტერიტორიაზე მოქმედი უსაფრთხოების წესები,რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი სამსახურის მიერ; სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია გამწოვი სისტემით,შესაბამისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით,ნიავდება კარგად,ხელსაწყო-იარაღები და ინსტრუმენტები მოთავსებულია დახურულ კონტეინერებში,დახურულ უჯრებში და ულტრაიისფერ კარადაში;გამოიყენება ერთჯერადი დამცავი საშუალებები;პროგრამული უსაფრთხოების წესები გამოკრულია ასევე შესაბამისი პროგრამის განხორციელების გარემოში; სტანდარტული უსაფრთხოების წესები დაცულია; თმის მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია პროგრამულ;ი უსაფრთხოების წესები განსახორციელებელი მოდულების მიხედვით;

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. შესაბამისობის გეგმა
.............................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................

თარიღი: 30.01.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: